ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 53
29/12/2015

53-08-4-201512291922

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ. ა " ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ბალანსი. (თავი I.მუხლი1).

მუხლი 2

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება. (თავი I. მუხლი 2)

მუხლი 3

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 5 751.8 ათასი ლარის ოდენობით. (თავი I. მუხლი 3).

მუხლი 4

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახადები 860,0 ათასი ლარით. (თავი I. მუხლი 4).

მუხლი 5

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გრანტები 2 890.4 ათასი ლარით.(თავი I. მუხლი 5).

მუხლი 6

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 001,4 ათასი ლარით.(თავი I. მუხლი 6).

მუხლი 7

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯები 5 883,3 ათასი ლარით.(თავი I. მუხლი 7).

მუხლი 8

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება -111,5 ათასი ლარით. (თავიI. მუხლი 8).

მუხლი 9

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია. (თავი I. მუხლი 9).

მუხლი 10

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 20,0 ათასი ლარის ოდენობით (თავიI. მუხლი 10).

მუხლი 11

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 100,0 ათასი ლარის ოდენობით. (თავი I. მუხლი 11).

მუხლი 12

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიზნობრივი ტრანსფერი 183,0 ათასი ლარის ოდენობით (თავი I. მუხლი 12).

მუხლი 13

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 ბიუჯეტის ასიგნებები 5 915,0 ათასი ლარის ოდენობით (თავი III.მუხლი 14).

მუხლი 14

დაევალოს იურიდიული პირებს და საბიუჯეტო დაწესებულებებს მიიღონ საჭირო ზომები ბიუჯეტის შემოსავლების აუცილებელი შესრულებისა და ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების დანიშნულებისამებრ ხარჯვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 15

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2015 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ”.

მუხლი 16

დადგენილება ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან.

ვლადიმერ სიხარულიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა